სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
04.10.2013 № 174
თბილისი

სტუ-ში 2013-2014 სასწავლო წლის პირველ
სემესტრში პროფესიულ საგანმანათლებლო
პროგრამებზე ტესტირების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, "პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანების და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. განისაზღვროს 2013-2014 სასწავლო წლის პირველ სემესტრში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ტესტირების პროცედურის სრული დაცვით №1 დანართის შესაბამისად;
2. დამტკიცდეს 2013-2014 სასწავლო წლის პირველ სემესტრში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ტესტირების კომისიის შემადგენლობა№2 დანართის შესაბამისად;
3. განისაზღვროს 2013-2014 სასწავლო წლის პირველ სემესტრში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ტესტირების ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის წესი №3 დანართის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს 2013-2014 სასწავლო წლის პირველ სემესტრში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობა №4 დანართის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს 2013-2014 სასწავლო წლის პირველ სემესტრში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ტესტირების ვადები:

   ა) ტესტირების ჩატარება – 4 ოქტომბერი (10:00 სთ.); 5 ოქტომბერი (15:00 სთ.);
   ბ) ტესტირების შედეგების გასაჩივრება – 5 ოქტომბერი (9:00 – 13:00 სთ.);
   გ) ტესტირების შედეგების აპელაციის გამოცხადება – 7 ოქტომბერი (16:00 სთ.).
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (ი. ლომიძე);

7. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

რექტორის მოადგილე
სასწავლო დარგში ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი ი. ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი ბ. მაისურაძე